ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №61

2014 წლის 22 მაისი
ქ. ბათუმი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის პრობლემების სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№9, 1.05.2013) ამონაწერის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მსოფლიო ისტორიის პრობლემების სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის დებულება დანართი 1–ის შესაბამისად;

2. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**

დანართი 1.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის პრობლემების სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის დებულება

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის პრობლემათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი შექმნილია ჰუმანიტარული ფაკულტეტის, ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე.

2. ცენტრის მიზანია:

ა) შესაბამის დეპარტამენტთან ერთად ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში მსოფლიო ისტორიის პრობლემათა კვლევას.

ბ) მოიზიდოს ამ დარგის ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკები და ხელი შეუწყოს მათ შემდგომ პროფესიულ ზრდას.

გ) იზრუნოს შესაბამის დისციპლინებში სასწავლო პროგრამების, მეთოდური მასალების, სათანადო სახელმძღვანელოების, სალექციო კურსების და მონოგრაფიების მომზადება-დაბეჭდვაზე.

დ) მოიძიოს და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანოს საზღვარგარეთის არქივებსა და წიგნსაცავებში, ელექტრონულ ბიბლიოთეკებში არსებული შესაბამისი მასალები, იზრუნოს მათ თარგმნაზე და მეცნიერულ შესწავლაზე.

3. ცენტრის ყოველი თანამშრომელი თვეში ერთხელ აბარებს მიმდინარე მუშაობის ანგარიშს, ხოლო წელიწადში ორჯერ ცენტრის სხდომაზე მოისმინება ანგარიში მის მიერ გაწეული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ, ცენტრი კი, თავის მხრივ, წელიწადში ერთხელ აბარებს ანგარიშს ფაკულტეტის საბჭოს.

4. ცენტრის საქმიანობას წარმართავს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელსაც ირჩევენ ცენტრის თანამშრომლები და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

5. ცენტრის თანამშრომელთა სხდომები ჩატარდება თვეში ერთხელ.

6. ცენტრი ყოველწლიურად ატარებს სამეცნიერო კონფერენციას და აქვეყნებს შესაბამის მასალებს შრომების ყოველწლიური კრებულის სახით.

7. ცენტრის დებულებას, ასევე ცვლილებებს დებულებაში და მის სამუშაო გეგმას ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის პრობლემათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი სტრუქტურა

განყოფილებები:

1. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ისტორიის.
2. აღმოსავლეთმცოდნეობის.
3. რუსეთისა და პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნების თანამედროვე ისტორიის.

კაბინეტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ცენტრის მუშაობისას:

1. ამერიკანისტიკის;
2. თურქოლოგიის;
3. სლავისტიკის.

ცენტრის ხელმძღვანელი -1,
განყოფილების ხელმძღვანელი -3,
სხვა მეცნიერ-თანამშრომელი - 9.

განყოფილებების სავარაუდო შემადგენლობა:

1. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ისტორიის:

ხელმძღვანელი - სრული პროფესორი კახაბერ სურგულაძე,

მეცნიერ-თანამშრომელები: მეცნ. დოქტ. იზოლდა ბელთაძე, ასისტ.პროფესორი ზაზა ბურკაძე, ასოცირებული პროფესორი მადონა მიქელაძე, დოქტორანტი ლაშა ბაჟუნაიშვილი.

2. აღმოსავლეთმცოდნეობის:
ხელმძღვანელი - სრული პროფესორი ემზარ მაკარაძე,
მეცნიერ-თანამშრომელები: ასოც. პროფესორი ზაზა შაშიკაძე, მეცნ. კანდ. მადონა გოგიტიძე, ასისტ. პროფესორი ნატალია ლაზბა.

3. რუსეთის და პოსტსაბჭოთა სხვა ქვეყნების ისტორიის განყოფილება:
ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი ირაკლი გორგილაძე,
მეცნიერ-თანამშრომლები: ასისტ. პროფესორი ჯემალ კარალიძე,
ასისტ. პროფესორი ხათუნა დიასამიძე, ისტ.მეცნ. კანდ. რევაზ დიასამიძე.

ცენტრის სამეცნიერო მუშაობის სავარაუდო თემატიკა

(ზოგადი პრობლემები)

განყოფილებები:

1. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ისტორიის -

ა) რომის ისტორიის პრობლემები (სრული პროფ. კახაბერ სურგულაძე).

ბ) ინგლისის ეკონომიკური, პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობები XVI–XVIII საუკუნეებში; თომას მორის ფილოსოფიური იდეების გააზრება (ისტ. მეც. დოქტორი იზოლდა ბელთაძე).

გ) სკოლაში ისტორიის სწავლების მეთოდები (ასოც. პროფ. მადონა მიქელაძე).

დ) საფრანგეთ - საქართველოს ურთიერთობები XX საუკუნის ბოლოს-XXI საუკუნის დასაწყისში (ასისტ. პროფ. ზაზა ბურკაძე).

ე) აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე (ისტ. მეც. დოქტორი ლაშა ბაჟუნაიშვილი).

ვ) თანამედროვე პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორია (ისტ. მეცნ. კანდ. რევაზ დიასამიძე).

მეთოდური სახელმძღვანელოს მომზადება ძველი რომის ისტორიაში (სრული პროფ. კახაბერ სურგულაძე).

2. აღმოსავლეთმცოდნეობის -

ა) თანამედროვე თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა (სრული პროფ. ემზარ მაკარაძე).

ბ) თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები XVI-XVIII სს. (ასოც. პროფ. ზაზა შაშიკაძე).

გ) მახლობელი აღმოსავლეთის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე (ისტ. მეც. კანდ. მადონა გოგიტიძე).

დ) თანამედროვე ლიბანის პრობლემები (ასისტ. პროფ. ნატალია ლაზბა).

სახელმძღვანელოს მომზადება - „თანამედროვე თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა 1945-2013წწ.“ (სრული პროფ. ემზარ მაკარაძე).

3. რუსეთისა და პოსტსაბჭოთა სხვა ქვეყნების ისტორიის -

ა) კავკასიის ხალხთა ისტორიის პრობლემები (ასისტ. პროფ. ჯემალ კარალიძე).

ბ) ცივი ომის მიზეზები და ინიციატორები (ასისტ. პროფ. ხათუნა დიასამიძე).

გ) ცენტრალური აზიის ქვეყნების განვითარების თანამედროვე პრობლემები (ასოც. პროფ. ირაკლი გორგილაძე).

დ) რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და საგარეო პოლიტიკის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე (ისტ. მეც. კანდ. რევაზ დიასამიძე).

ე) აფხაზები აჭარაში (ისტორია და დღევანდელობა). (ასოც. პროფ. მანუჩარ ლორია, ასოც. პროფ. თამაზ ფუტკარაძე, ისტ. მეცნ. კანდ. რევაზ დიასამიძე).

დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოს მომზადება თანამედროვე რუსეთის ისტორიაში (ისტ. მეცნ. კანდ. რევაზ დიასამიძე).

რუსეთის უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოს თარგმნა ქართულ ენაზე (ისტ. მეცნ. კანდ. რევაზ დიასამიძე).